„ყური დაუგდეთ, ასპინძის ადგილის დედა ჩურჩულობს...”

ლევან ასათიანი

ასპინძის მუნიციპალიტეტი * ოქტომბერი. 2018 *(8)45

მუნიციპალიტეტის საკრებულოში

ამა წლის 14 სექტემბერს გაიმართა ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გეგმიური სხდომა, სადაც განსახილველად და დასამტკიცებლად წარმოდგენილი იყო დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები:

1. ასპინძის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი პროექტების მოწონების თაობაზე;

2. 2019 წელს ასპინძის მუნიციპალიტეტში, მთის ფონდიდან განსახორციელებელი პროექტების ფარგლებში, განსახორციელებელი პროექტის მოწონების თაობაზე;

3. მეიჯარე გივი ლომაშვილზე ასპინძის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ ;

4. მეიჯარე ვასილ ლონდარიძეზე ასპინძის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ;

5. მეიჯარე შოთა ჩოკოშვილზე ასპინძის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ;

6. მეიჯარე ამხანაგობა „ერკოტა-2018-ზე“ ასპინძის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ;

*

„საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 07 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად, ასპინძის მუნიციპალიტეტის მერმა როსტომ მაგრაქველიძემ საკრებულოს წარუდგინა 2019 წელს განსახორციელებელი პროექტები რეგიონული ფონდიდან მოსაწონებლად, კერძოდ:

1. ცენტრალური გზიდან სოფელ აწყვიტამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია;

2. დაბა ასპინძაში შიდა ქუჩების რეაბილიტაცია;

3. სოფლების: ხიზაბავრის, საროს, ვარგავის და თოკის სასმელი წყლის ცენტრალური მილსადენის და სათავე ნაგებობების რეაბილიტაცია;

4. დაბა ასპინძაში მრავალსართულიანი კორპუსების რეაბილიტაცია;

5. სოფელ ტოლოშის ბაგა-ბაღის რეაბილიტაცია;

6. სოფელ ოშორის და სოფელ დამალის შიდა გზების რეაბილიტაცია.

2019 წელს ასპინძის მუნიციპალიტეტში, მთის ფონდიდან განსახორციელებელი პროექტების ფარგლებში, განსახორციელებელი პროექტის მოწონების თაობაზე, კერძოდ:

– დაბა ასპინძაში სარწყავი არხების აღდგენა-რეაბილიტაცია. წარმოდგენილი პროექტების დაფინანსებას დაემატება ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებაც.

ზემოთ დასახელებული პროექტების განხორციელების სავარაუდო ვადებია 2019 წლის მაის-აგვისტოს თვეები.

ზემოაღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით გამოიცა შესაბამისი განკარგულებები.

მუნიციპალიტეტის ყველა სოფელში ახალ სასწავლო წლის დაწყებასთან და მილოცვასთან დაკავშირებით, საკრებულოს დეპუტატიასთან ერთად, აქტიურად იყვნენ ჩართულნი მერიის თანამდებობის პირები და სოფლის წარმომადგენლები.

***

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ მამუკა მელიქიძემ, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ ბესიკ ბერიძემ, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ დავით ფართალაძემ; საფინანსო-საბიუჯეტო, ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ანა ტივაძემ და გია ჭელიშვილმა – ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ ჯერ დაბა ასპინძის, ხოლო შემდგომ ივერიის საჯარო სკოლების პედაგოგ-მასწავლებლებს და სკოლის მოსწავლეებს ახალი სასწავლო წლის დაწყება მიულოცეს.

***

მირაშხანის, ნაქალაქევის, ტოლოშის და დამალის საჯარო სკოლებს სოფლის წარმომადგენლებთან ერთად ახალი სასწავლო წლის დაწყება მიულოცეს საკრებულოს თავმჯდომარემ მამუკა მელიქიძემ, ბადრი მაღრაძემ – ფრაქცია ,,ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარემ; ემინ ბალოიანმა – ფრაქცია ,,ქართული ოცნება-მრეწველების“ თავმჯდომარემ, რობერტ ნახაპეტიანმა – ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომრის მოადგილემ და მაკა ბერიძემ – საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელმა – საინფორმაციო-ანალიტიკური და საზოგადოებასთან ურთიერთობების განყოფილების უფროსმა.

ძველი-ჭობარეთის საჯარო სკოლებში: გენადი დიასამიძემ – გარემოს დაცვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ და გიორგი ჯვარიძემ – იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ; სოფელ ოთის საჯარო სკოლაში – ბესიკ მაგრაქველიძემ – ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომრის მოადგილემ; თოკ-ვარგავის სკოლაში – დეპუტატმა ზვიად ზარიძემ; სოფელ ხიზაბავრის, საროსა და ნიჯგორის სკოლებში – დეპუტატმა გოჩა ყრუაშვილმა; ორგორა-საყუდაბლის სკოლებში – დეპუტატმა პაატა ნარიმანიძემ, ტოლოშის და ხერთვისის სკოლებში – ზურაბ მელიქიძემ – კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ; სოფელ რუსთავის სკოლაში – დეპუტატმა თამაზ შავაძემ და სოფელ ოშორისა და იდუმალის სკოლებში – დეპუტატმა გაგა სახელაშვილმა.

დარეჯან ზღუდაძე

„შოთაობა“ ვარძიაში

29 სექტემბერს ვარძიაში, შოთა რუსთაველის მშობლიურ კუთხეში, ,,პოეზიის სახალხო დღესასწაული – შოთაობა“ გაიმართა.

დღესასწაული სოფელ რუსთავიდან დაიწყო. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა მონვეულ სტუმრებთან ერთად დაბა ასპინძასა და სოფელ რუსთავში

მდებარე შოთა რუსთაველის ძეგლი გვირგვინითა და ყვავილებით შეამკეს.

ტრადიციულად სახალხო დღესასწაულზე მობრძანებულ სტუმრებს საშუალება ჰქონდათ გაცნობოდნენ ხალხური რეწვის ოსტატთა, მხატვრებისა და შშმ პირთა ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვას. ასევე, სახალხო დღესასწაულისთვის სპეციალურად მოწყობილ ფაცხებში – ადგილობრივ სამზარეულოს.

პარალელურ რეჟიმში გაიმართა სპორტული შეჯიბრებები მკლავჭიდში, ჭიდაობასა და საჯილდაო ქვის აზიდვაში. სპორტულ ღონისძიებებში გამარჯვებულები ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიამ მედლებით, თასებით და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვა.

სახალხო დღესასწაული მრავალჟამიერის ფონზე გაიხსნა.

დღესასწაული ასპინძელებს მიულოცეს ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტმა მეუფე თეოდორემ, სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორმა ბესიკ ამირანაშვილმა, მუნიციპალიტეტის მერმა როსტომ მაგრაქველიძემ და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა მაკა ბერიძემ..

საზეიმო კონცერტში მონაწილეობას ღებულობდნენ ადგილობრივი შემოქმედებითი და ქორეოგრაფიული კოლექტივები მეზობელ მუნიციპალიტეტების შემოქმედებით ჯგუფებთან ერთად.

ღონისძიებაზე მწერალთა კავშირის წევრებმა და სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულმა პოეტებმა საკუთარი შემოქმედებით კიდევ ერთხელ მიაგეს პატივი პოეზიის უდიდეს გენიას – შოთა რუსთაველს.

მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ღონისძიებაზე დაჯილდოვდა გაზეთ ,,ლიტერატურული მესხეთის“ მიერ გამოცხადებული ლიტერატურული კონკურსში გამარჯვებული ნათია ჭინჭარაული და გადაეცა პირველი პრემია 1000 ლარი.

დღესასწაულზე 2018 წლის ახალდაქორწინებულ წყვილებს ტრადიციულად ,,ვეფხისტყაოსანი'' გადაეცათ საჩუქრად.

სახალხო დღესასწაულს ადგილობრივების გარდა რეგიონებიდან ჩამოსული სტუმრები და უცხოელი ტურისტებიც ესწრებოდნენ.

აღნიშნულ ღონისძიებაზე ასევე მონაწილეობდნენ „აწარმოე საქართველო„-ს მიერ დაფინანსებული ბენეფიციარები, მობრძანებულ სტუმრებს შესაძლებლობა ჰქონდათ გაცნობოდნენ და ადგილზე დაეგემოვნებინათ მესხური კერძები.

„პოეზიის დღესასწაული – შოთაობა" ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ყოველწლიურად აღინიშნება.

მხარის გუბერნატორი მუნიციპალიტეტის პასუხისმგებელ მუშაკებს შეხვდა

სამცხე-ჯავახეთის ახლადდანიშნული გუბერნატორი ბესიკ ამირანაშვილი დღიდან აღნიშნულ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე დანიშვნისა, სისტემატურად ხვდება რეგიონის როგორც მოსახლეობას, ასევე პასუხისმგებელ მუშაკებს, პირადად ეცნობა მხარის ინფრასტრუქტურულ პროექტებს, უპირველესად დაინტერესებულია მისი ეკონომიკური განვითარებისა და მოსახლეობის დასაქმების პრობლემებით.

ამ დღეებში იგი ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს ხელმძღვანელ პირებს შეხვდა.

სამუშაო შეხვედრაზე ისაუბრეს და განიხილეს ასპინძის მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანი და პრიორიტეტული პროექტები.

შეხვედრის შემდეგ მხარის გუბერნატორმა ასპინძის მუნიციპალიტეტის მერთან და სხვა ხელმძღვანელ პირებთან ერთად ადგილზე დაათვალიერა ასპინძის მუნიციპალიტეტში მიმდინარე და დასრულებული ინფრასტრუქტურული პროექტები.

ამ დღესვე, მხარის გუბერნატორი სოფელ მირაშხანის მოსახლეობასაც შეხვდა, ადგილზე გაეცნო მათ პრობლემებს და დაათვალიერა დასრულებული სოფლის გზა.

კიდევ ერთი დიდი პროექტი განხორციელდა

ჩვენი გაზეთის მკითხველებისათვის კარგადაა ცნობილი თუ რა მნიშვნელოვან მუშაობას ეწევა მუნიციპალიტეტის მერია როგორც დაბაში, ასევე სოფლებში მუნიციპალური პროექტების განხორციელების საქმეში. კერძოდ, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს დაბაში განხორციელებული არაერთი პროექტი, რომელიც ქუჩებისა და ჩიხების კეთილმოწყობა-მოასფალტებას ითვალისწინებს. ამ დღეებში კი დასრულდა დაბა ასპინძაში შიდა ქუჩების: ვაჟა ფშაველას (სამი განშტოების), ყაზბეგის (ორი განშტოების), დედაენის და ერეკლე II-ის ქუჩის (ორი განშტოების) სარეაბილიტაციო სამუშაოები.

აღნიშნული პროექტების ფარგლებში კეთილმოეწყო 2270 მეტრი სიგრძის გზა.

სამშენებლო სამუშაოები შეასრულა კომპანია შპს ,,მშენებელმა,'' რომლის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება შეადგენს 505 737 ლარს.

დასუფთავების დღე ასპინძაში

15 სექტემბერს ასპინძის მუნიციპალიტეტი პროექტს – ,,დავასუფთავოთ საქართველო„! – დევიზით: „მსოფლიო დასუფთავების დღე'' საყოველთაო აქციას შეუერთდა.

დასუფთავების აქცია 10 საათზე დაიწყო, რომელიც რამდენიმე საათის განმავლობაში მიმდინარეობდა. მასში მონაწილეობა მიიღეს ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს თანამშრომლებმა, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის მიერ დაფუძნებულმა ა(ა)იპ-ების თანამშრომლებმა, მუნიციპალიტეტში შემავალმა ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენლებმა დაბისა და სოფლების მოსახლეობასთან ერთად.

აღნიშნული აქციის მსვლელობისას მობილიზებული იყო შპს ,,კეთილმოწყობის'' სამსახურის სპეცტექნიკა, რომელიც დროულად ახდენდა შეგროვებული ნარჩენების გატანას.

აქციის მონაწილეებმა დაასუფთავეს ასპინძის მუნიციპალიტეტის ცენტრალური მაგისტრალი, ასევე წუნდის ტბისა და ვარძიამდე მისასვლელი გზა.

ინვენტარი შეიძინეს

ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის ფინანსური მხარდაჭერით ა(ა)იპ ასპინძის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებამ N 1 და N 2 საბავშვო- ბაღებისათვის ელექტრონული ტენდერით (NAT180010663) 180 ერთეული ახალი საბავშვო ლოგინის სრული კომპლექტი (საბანი, ლეიბი, ბალიში და თეთრეული) შეიძინა.

საბავშვო-ბაღებში აღნიშნული კომპლექტის მიღების პროცესს ესწრებოდნენ ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის ხელმძღვანელი პირები.

ინფრასტრუქტურული პროექტები ასპინძაში

დაბის ცენტრში აქტიურად მიმდინარეობს ასპინძის ომის მემორიალური კომპლექსის მიმდებარე ტერიტორიის დეკორატიული კედლებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა, ასევე ვარძიის ქუჩაზე არსებული დეკორატიული კედლების რეაბილიტაცია და განახლდა განათების მოწყობის II ეტაპი.

პროექტის ფარგლებში ამჟამად მიმდინარეობს ასპინძის შემოსასვლელში ვარძიის ქუჩის საყრდენი კედლების მოპირკეთება ბაზალტის ფილებით.

ასევე, მაღალი ტემპით მიმდინარეობს ასპინძის ცენტრალური კიბეების რეაბილიტაცია, სადაც დამატებით მოეწყობა ორი დასასვენებელი სკვერი.

დაბის ცენტრში არსებული (ყოფილი) პავილიონის შენობის რეაბილიტაცია.

უამინდობა მუნიციპალიტეტში

12 სექტემბერს ასპინძის მუნიციპალიტეტის მერმა როსტომ მაგრაქველიძემ აღმასრულებელ და წარმომადგენლობით ორგანოს წარმომადგენლებთან ერთად დასეტყვილი სოფლები დაათვალიერეს და ადგილზე გაეცვნენ არსებულ მდგომარეობას.

11 სექტემბერს მუნიციპალიტეტში სტიქიის შედეგად რამდენიმე სოფლის სასოფლო-სამეურნეო სავარგულები დაისეტყვა და მოსახლეობას გარკვეული ზარალიც მიაყენა. კერძოდ, დაისეტყვა სოფელ ხიზაბავრის, საროს, ნიჯგორისა და ტოლოშის სავარგულების ნაწილი, თუმცა ზარალი არცთუ ისე დიდია,

ახალი სასწავლო წელი დაიწყო

ასპინძის მუნიციპალიტეტის მერმა როსტომ მაგრაქველიძემ, საკრებულოს თავმჯდომარემ მამუკა მელიქიძემ და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა ახალი სასწავლო წლის დაწყება მიულოცეს მუნიციპალიტეტის ყველა სკოლის მოსწავლეს, განსაკუთრებით პირველ კლასელებს და მასწავლებლებს. „ფარავან-ჰესის'' ადმინისტრაციამ სოფელ ხერთვისის საჯარო სკოლის მოსწავლეებს საჩუქრად გადასცა ზურგჩანთები და სხვადასხვა სასკოლო ინვენტარი.

განათლების სამინისტროს ინიციატივით კი წელს ყველა პირველკლასელმა ახალი, გაუმჯობესებული „ნეთბუქები“ და სახელმძღვანელოები მიიღეს.

უფასო სახელმძღვანელოებს მიიღებს ასევე საჯარო სკოლის ყველა მოსწავლე პირველიდან მეთორმეტე კლასების ჩათვლით.

ასპინძის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების კარი წელს 133 პირველკლასელმა შეაღო.



საპრეზიდენტო არჩევნები კარს მოგვადგა

სულ მალე საქართველოში კიდევ ერთი საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდება. მიუხედავად იმისა, რომ ახლადარჩეული პრეზიდენტის ფუნქციები მაქსიმალურადაა შეკვეცილი, წლევანდელი საარჩევნო მარათონი უფრო დაძაბულ ვითარებაში მიმდინარეობს, ვიდრე აქამდე ყოფილა და ეს არცაა გასაკვირი, რადგან ყოფილი ხელისუფალი ამ არჩევნებზე დიდ იმედებს ამყარებს, რათა საკუთარი ამბიციები დაიკმაყოფილოს და მომავალ საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებისათვის მეტი შანსი მოიპოვოს, ამიტომაცაა, რომ ყოველგვარი წესების გარეშე მიმდინარეობს ეს ბრძოლა და ხელისუფალის მიერ მხარდაჭერილი კანდიდატის დამარცხებას ყველა მეთოდით ცდილობენ.

ახლახან გავესაუბრეთ მუნიციპალიტეტში მცხოვრებ რამდენიმე რესპოდენტს და ვთხოვეთ თავიანთი მოსაზრებები გაუზიარონ ასპინძელ ამომრჩეველს. მათ შორის შევარჩიეთ, ძირითადად, ინტელიგენციის წარმომადგენლები. მიუხედავად იმისა, რომ მათი პოზიციები, შეიძლება, ყველა ამომრჩეველისათვის არ იყოს მისაღები, ვთვლით, რომ ისინი მაინც გამოხატავენ მუნიციპალიტეტში შექმნილ წინასაარჩევნო განწყობას. ჩვენ თითოეულ მათგანს ერთი და იგივე კითხვით მივმართეთ და გვსურს მათი მოსაზრებები შეუღლამაზებლად წარმოგიდგინოთ, ძვირფასო მკითხველო:

– მალე, საქართველოში, საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდება. თქვენი აზრით, არის თუ არა შექმნილი ნორმალური წინასაარჩევნო გარემო?

– რას ფიქრობთ საპრეზიდენტო კანდიდატებზე. არიან თუ არა ისინი ღირსეულნი, რომელს უფრო გამოყოფდით მათგან, თქვენთვის მისაღები კანდიდატი რომელია და რატომ?

– რას ფიქრობთ იმაზე, რომ საქართველოში, სადაც მოსახლეობის რაოდენობა სამმილიონს ძლივს აღემატება, 46 კანდიდატი დარეგისტრირდა. ნორმალურია თუ არა ეს?

– თქვენი აზრით პრეზიდენტის რეზიდენცია მიზანშეწონილია თუ არა დარჩეს ავლაბრის საპრეზიდენტო სასახლეში?

– წინასაარჩევნო მარათონის დროს რომელ საპრეზიდენტო კანდიდატთან გქონიათ შეხვედრა და რა შთაბეჭდილება მოუხდენია მათ თქვენზე?

– თქვენს საარჩევნო უბანში გრძნობთ თუ არა ამომრჩევლებზე რაიმე სახის ზეწოლას და რაში გამოიხატება იგი?

– ცხადია, პრეზიდენტის ფუნქციები ახალი კონსტიტუციით შეზღუდულია, თუმცა ყველა კანდიდატი ამომრჩეველს უხვ დაპირებას აძლევს. მთავარი ყურადღება მომავალმა პრეზიდენტმა მაინც რაზე უნდა გადაიტანოს?

– აპირებთ თუ არა არჩევნებზე მისვლას?

კარლო ხუციშვილი: ეკონომისტი, დაბა ასპინძა

– საქართველოში პრეზიდენტს არავითარი უფლებები არ დაუტოვეს, უუფლებო პრეზიდენტის არჩევისათვის რა საჭიროა ამდენი აჟიოტაჟი. სადამდე უნდა ვითამაშოთ „სახელმწიფოებრიობა"? არ მომწონს ბინძური ცილისწამებები და კანდიდატების ლანძღვა ტელევიზიის საშუალებით.

– სამწუხაროდ, ყველა კანდიდატს ვერ ვიცნობ. ჩემი აზრით, კარგი კანდიდატებია: ზურაბიშვილი, ბაქრაძე, ვაშაძე. მათ აქვთ ხელმძღვანელი თანამდებობებზე მუშაობის გამოცდილება.

– ვინაიდან კონსტიტუციით მაქსიმალურად შეზღუდულია პრეზიდენტის უფლებები, ჩემი აზრით, საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების ამ ეტაპზე ნათლად გამოვლინდა ქართული ხასიათი: გვინდა კარგი ხელფასი, სახელი და დიდება, არ გვინდა პასუხისმგებლობა, შრომა-გარჯა, საქმის კეთება, სამშობლოს ბედ-იღბალზე და მომავალზე ზრუნვა.

– ვერ გამიგია რატომ ხდება ასე, ნუთუ სხვა პრობლემა არ გვაქვს, ეს ვისი კაპრიზია? პრეზიდენტი ნაქირავებ სახლში დავსვათ და ეს სასახლე უცხოელებზე გავყიდოთ თუ რა გვინდა? ჩვენი სახელმწიფო დამოუკიდებელია, სხვა ქვეყნის დელეგაციები ჩამოდიან და ავლაბრის საპრეზიდენტო რეზიდენცია მათ წარმოდგენას შეუქმნის, რომ ჩვენც სახელმწიფო გვაქვს.

– არც ერთ საპრეზიდენტო კანდიტატთან არ მქონია შეხვედრა, ზოგიერთ კანდიდატს ვიცნობ პრესისა და ტელევიზიის საშუალებით?

– ჩვენს საარჩევნო უბანზე ამომრჩევლებზე ზეწოლა ჯერ-ჯერობით საგრძნობი არ არის.

– დაპირებებისა უკვე არავისი არ მჯერა, მითუმეტეს, უუფლებო პრეზიდენტის დაპირებისა. ისე, მომავალმა პრეზიდენტმა, ისევე როგორც სხვა ხელისუფალმა, ქვეყანის მომავალზე უნდა იფიქროს, ხალხის ნდობა უნდა მოიპოვოს, თუმცა საქართველოში ხალხი არ ვაფასებთ ქვეყნის ხელმძღვანელებს, არ ვუდგევართ მხარში, უფრო მეტიც, რაგინდ კარგი პიროვნებაც არ უნდა იყოს, ყველა გვძულს, ხოლო ე. წ. ოპოზიციონერებს, ვინც მოგვიწოდებს სახელმწიფო სტრუქტურების ნგრევისაკენ, მათ უფრო ვაფასებთ. ნეტა როდის ჩამოგვიყალიბდება სახელმწიფოებრივი შეგნება?

– ამ კითხვაზე პასუხი ცალსახაა: დამოუკიდებლობის დღიდან არც ერთი არჩევნები არ გამომიტოვია, მე მიყვარს ჩემი ქვეყანა, მინდა ჩვენმა მომავალმა თაობამ აყვავებულ ქვეყანაში იცხოვროს.

როლანდ ნარიმანიძე: პენსიონერი. ასპინძა

– ეს საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნები კი არა, გასული საუკუნის 30-იანი წლების გერმანიაში მესამე რაიხის ხელისუფლებაში მოსვლას

მაგონებს და თუ ხელისუფლება დარჩენილ დროში ნორმალურ კალაპოტს არ დაუქვემდებარებს საარჩევნო კამპანიას, რაღაც უბედურებაში შეიძლება გაგვხვიოს ოპოზიციურმა ძალებმა.

– არცერთი არაა ღირსეული კანდიდატი, მაგრამ მათგან დადებითად მაინც სალომე ზურაბიშვილს გამოვარჩევდი, რომელსაც ყველა ერთად სიმართლის თქმის გულისთვის დაუპირისპირდა, ისიც, როგორც ქალი, ისე იგერიებს ყვავ-ყორნებივით წამოსეულ კონკურენტებს.

– ამით ერთხელ კიდევ დასტურდება, რომ ქვეყნის მართვა, პირველკაცობა, ჩვენთან ყოველ მეორეს შეუძლია, – საქართველოს ძალუძს მსოფლიოს ქვეყნებიც მოამარაგოს პრეზიდენტებით (ეს ხუმრობით, რა თქმა უნდა), თუმცა მათგან, ძირითადად, მხოლოდ 3-4 კანდიდატს თუ სჯერა გამარჯვებისა.

– უფლებაშეკვეცილ პრეზიდენტს ხვალ-ზეგ პარლამენტი რომ აირჩევს, რაღად უნდა ავლაბრის რეზიდენცია, მისთვის დეპუტატისთვის განკუთვნილი ოფისიც იკმარებდა.

– არცერთ საპრეზიდენტო კანდიდატთან არ მქონია შეხვედრა, მათი გამოსვლები ტელევიზიებიდან ვიცი და დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ ისინი ამომრჩევლებს აბოლებენ.

– თუ არა ხელისუფლებაზე ოპოზიციურად განწყობილი საპრეზიდენტო კანდიდატების ხელისუფლების მხარდაჭერილ კანდიდატზე ცილისწამებები და შეურაცხმყოფელი გამოხტომები, ადგილებზე ეს არ იგრძნობა.

– სახელმწიფო არსებობს იმისათვის, რომ უზრუნველყოს საზოგადოების ნორმალური ცხოვრება, მათი ფორმირება და განვითარება. პრეზიდენტიც ამ სახელმწიფოს მაღალი რანგის პოლიტიკური ფიგურაა და მისი აქტიურობა ყველგან უნდა იგრძნობოდეს.

– არჩევნებზე მისვლას და ხმის მიცემას აუცილებლად ვაპირებ, ეს ჩემი მოქალაქეობრივი მოვალეობაა.

გიორგი ზედგინიძე: ბიზნესმენი, ასპინძა

– ჩემი აზრით, ქვეყანაში არც თუ ისე სახარბიელო წინასაარჩევნო გარემოა, რადგან აშკარად იგრძნობა მედია საშუალებებით სალომე ზურაბიშვილის მიმართ არა თუ კრიტიკული დამოკიდებულება, არამედ ცილისმნამებლური გამოხტომები, რაც არავითარ შემთხვევაში არ არის ნორმალური, რადგან ამით საპრეზიდენტო კანდიდატის აშკარა დისკრედიტაცია ხდება. სიტყვის თავისუფლების შირმით, აშკარად ირღვევა ადამიანის უფლებები. საპრეზიდენტო კანდიდატს უნდა ჰქონდეს საშუალება ნორმალურად წარმართოს თავისი წინასაარჩევნო კამპანია, ეს ხომ მისი კონსტიტუციური უფლებაა?

– ჩემი აზრით, საპრეზიდენტოდ არცერთი კანდიდატი არ მომწონს, თუმცა მათ შორის ისევ სალომე ზურაბიშვილი მირჩევნია, რადგან მას ხელები არ აქვს გასვრილი სიბინძურეში და დიპლომატიური მუშაობის გამოცდილება საკმარისზე მეტი აქვს,

– ეს ჩვენნაირი პატარა ქვეყნისათვის სირცხვილია, არცერთ სახელმწიფოში მსგავსი რამ, ალბათ, არსად არ ხდება. ფაქტიურად, დღეისათვის, პრეზიდენტის ორი რეზიდენცია გვაქვს დედაქალაქში. არ ვიცი, რა თანხები იხარჯება დღევანდელი საპრეზიდენტო სასახლის მოვლა-პატრონობაზე, მაგრამ, ჩემი აზრით, მომავალი პრეზიდენტის რეზიდენცია იქ აღარ უნდა დარჩეს. უფრო მეტიც, მიმაჩნია, რომ მომავალში პრეზიდენტის ინსტიტუტი უნდა გაუქმდეს, რადგან მას ბევრი ფუნქცია ჩამორთმეული აქვს და ფუფუნებაა უფუნქციო პრეზიდენტის შენახვაზე ზედმეტი ხარჯების განევა.

– ჩვენს საარჩევნო ოლქში ხელისუფლების მხრიდან ამომრჩეველზე რაიმე სახის ზეწოლას სრულიად ვერ ვგრძნობ, ამიტომ კატეგორიულად ვაცხადებ: – ოპოზიციის მხრიდან გაჟღერებული უსაფუძვლო ბრალდებები, თითქოს ზეწოლაა ამომრჩეველზე, ან გაყალბების რაიმე ფაქტებს ჰქონდეს ადგილი, ცილისწამებაა და მეტი არაფერი! ისე კი, ე.ნ. ოპოზიციონერები, განსაკუთრებით ნაციონალები თუ მათი სატელიტი პარტიები და განაყოფები, ზეწოლას უფრო ახდენენ ამომრჩეველთა გარკვეულ ნაწილზე – აი, ჩვენ მოვალთ ხელისუფლებაში და მერე სხვაგვარად იქნება თქვენი საქმეო. მოსახლეობის ერთ ნაწილსაც, თითქოს სჯერა, რომ შესაძლებელია მართლა დაბრუნდნენ და მერე რა გვეშველებაო. ყველგან ხომ არიან უშიშარი და მშიშარა ადამიანები? და მათაც ეშინიათ, – ვაი თუ მართლა მოვიდნენ და მე თუ არ მივეცი ხმა, მერე პრობლემებს ნავანყდებითო. განვლილი 9 ნლიანი ტერორის ქვეშ გატარებული ცხოვრება ახსოვთ და ამიტომაც შემორჩათ შიშის გრძნობა, რაც დამღუპველია ქვეყნისათვის.

– ყოველთვის მივდიოდი და ახლაც მივალ არჩევნებზე, რათა ჩემი მოქალქეობრივი ვალი მოვიხადო. მოვუწოდებ ყველა ამომრჩეველს, არჩევნებზე მისვლით გამოხატოს თავისი პოზიცია.

ელდარ ზაზაძე – პედაგოგი, სოფელი ტოლოში

– განსხვავებით წინა არჩევნებისაგან, დღევანდელი საარჩევნო გარემო გაცილებით უკეთესია, თუ არ ჩავთვლით მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, განსაკუთრებით ტელევიზიების მეშვეობით, შექმნილ აჟიოტაჟებს.

– ღირსეულს არჩევნები გამოავლენს. ნათქვამია: „ადამიანის ჭეშმარტი ბუნება ვლინდება მაშინ, როცა თანამდებობას არგუნებენო".

– მათ საქციელს სკეპტიკურად ვუყურებ.

– კარგი იქნება თუ პრეზიდენტის რეზიდენცია უფრო მოკრძალებული იქნება.

– არა!

– არსებული მდგომარეობა არ იძლევა იმის საბაბს, ვისაუბროთ ზეწოლის ფაქტებზე, თუმცა თავისუფალი არჩევნების მისაღებად ჯერ კიდევ ბევრი რამ დასახვენია.

– ქვეყანაში იმდენი პრობლემა არსებობს, რამდენი ადამიანიცაა. მჯერა, თითოეულ კანდიდატს ეს კარგად აქვს გააზრებული. ჩემი აზრით, მომავალმა პრეზიდენტმა მთელი ძალისხმევა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხს უნდა მოახმაროს.

– დიახ!

მოამზადა
ავთანდილ ბერიძემ

თავკვეთულობა აღინიშნა



ასპინძის მუნიციპალიტეტი ისტორიული ძეგლების სიმრავლით ერთ-ერთი უნიკალურია მთელ საქართველოში. ამიტომაც არის, რომ ყველა დროში იგი გამოირჩევა როგორც ტურისტების სიმრავლით, ასევე არ აკლია ექსკურსანტები მთელი საქართველოდან. ფაქტიურად მაის-ოქტომბრამდე არ წყდება მათი ნაკადი და ყოველწლიურად მატულობს ვიზიტორთა რაოდენობაც. განსაკუთრებით მათზე უდიდეს შთაბეჭდილებას ტოვებს ძეგლ-ნაკრძალი ვარძია, ვანის ქვაბები, ზედა ვარძია, ხერთვისი. მიუხედავად იმისა, რომ ძალზე მიუვალია თმოგვის ციხე, არც იქ აკლიათ დამთვალიერებელთა რაოდენობა.

ამჟამად მკითხველის ყურადღება გვინდა შევაჩეროთ ვარძიის სიახლოვეს, სოფელ მირაშხანთან, მდინარე მტკვრის მარჯვენა მხარეზე, ციცაბო კლდის გასწვრივ კლდეში გამოკვეთილ, იოანე ნათლიმცემლის სახელობის უნიკალურ ეკლესიაზე, რომელიც მნახველებზე წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს – ჯერ ერთი იმიტომ, რომ დამთვალიერებელს კლდეში გამოკვეთილ გვირაბში კიბეებით უწევს ასვლა და, მეორეც, კლდეში ნაკვეთი ეკლესია თავისი სიდიდით და თავისებურებით იპყრობს ყურადღებას. აღნიშნული ეკლესია მოსახლეობაში ცნობილია როგორც „თავკვეთულას" სახელით.

„თავკვეთულაზე" მომლოცველთა რაოდენობა ყოველწლიურად, განსაკუთრებით, 11 სექტემბერს ჭარბობს, რადგან სწორედ ამ დღეს მოდიან მოსალოცად და შეუძლებელია დიდი რიგისა და ლოდინის გარეშე მისი მონახულება. აქვე დავძენთ, რომ აქ ამ დღეს მრავლად არიან არა მარტო საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტებიდან, არამედ მხარეში ექსკურსიაზე მყოფი სტუმრებიც.

დიდი ხნის განმავლობაში მორწმუნეებსა და დამთვალიერებლებს მისი მონახულება მდინარე მტკვარზე ფეხით გადასვლის შემდეგ უხდებოდათ, სწორედ ამ დღეს, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, მდინარის დონე ყველაზე დაბალ ნიშნულს აღწევს და ფეხით ნებისმიერ ადამიანს შეუძლია გადასვლა, გასულ წელს კი ადგილობრივი ხელისუფლების დიდი ხელშეწყობით შესაძლებელი გახდა მდინარეზე საცალფეხო ხიდის მშენებლობა.

ტრადიცია არც წლეულს დარღვეულა და აღნიშნულ დღეს თავკვეთულას ეკლესიას ასობით დამთვალიერებელი და მორწმუნე ესტუმრა საქართველოს ყველა კუთხიდან.

მორწმუნეებს ტაძრამდე მისვლა როგორც ვთქვით, შეუძლიათ მდინარე მტკვარზე ფეხით გადასვლით და ასევე საცალფეხო ხიდით. მტკვარზე ფეხით გასვლით მრევლი, ტაძრის მოლოცვამდე, განბანვის ერთგვარ რიტუალს ასრულებს. „თავკვეთულობას" მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილიც დაესწრო და, შესაბამისად, უსაფრთხოების დაცვის მიზნით, ადგილზე მობილიზებული იყო ასპინძის საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური.

სხვებისაგან ბევრად გამოვიჩევით

ასპინძა თავისი ისტორიული წარსულით მართლაც მდიდარი რაიონია. მისი სახელი კარგადაა ცნობილი არა მარტო საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობისთვის, არამადე ქვეყნის ფარგლებს გარეთაც, რაც ძირითადად გამოწვეულია იმით, რომ იგი მრავალი ღირსშესანიშნაობებითაა განთქმული, ერთ-ერთი კი ასპინძის ბალნეოლოგიური კურორტია, რომელიც, არც მეტი, არც ნაკლები, საუკუნეებია დგას ხალხის სამსახურში, ხოლო იმ სახით, რაც დღესაა, სამოც წელზე მეტს ითვლის. ხანდაზმულ ადამიანებს, ალბათ, კარგად ახსოვთ, რომ, იმხანად, ხიდის გვერდით, ორი პატარა სააბაზანო იყო, რომელსაც სრულიად არ შეეძლო ავადმყოფი და დავრდომილი მოქალაქეების მომსახურება, არადა, მასზე დიდი მოთხოვნები იყო მაშინვე, რადგან მისი სამკურნალო ჩვენებები – საყრდენ-მამოძრავებელი ორგანოების, პერიფერიული ნერვიული სისტემის დაავადებების (ნევრიტები, ნევრალგიები, რადიკულიტი და სხვ), მსუბუქი ფორმის სპონდილოზების და სპონდილოართროზების, გინეკოლოგიური და კანის ზოგიერთი ქვემწვავე და ქრონიკული დაავადებების განკურნება, გარანტირებული ჰქონდათ. ამისათვის, გასული საუკუნის 50-იან

წლებში, გადაწყდა – აშენებულიყო საკურორტო კომპლექსი, რომელსაც ერთდროულად მოქალაქეთა დიდი ჯგუფის მომსახურება შეეძლო.

დროთა განმავლობაში ბალნეოლოგიურმა კურორტმა „ასპინძამ", რომლის წყლის ტიპი ქლორიდულ-სულფადურ-ნატრიუმ-კალციუმიანია, მინერალიზაცია 0,9 გ/ლ, ტემპერატურა 42 გრადუსი, წყლის დებეტი 3 ლიტრი წამში, განსაკუთრებულ ყურადღება მიიქცია და საქართველოს თითქმის ყველა კუთხიდან არ აკლია დამსვენებლები. ბალნეოლოგიურ კურორტს, რომელიც მრავალ დაავადებებს შველის, არც უცხოეთიდან აკლებენ სტუმრობას.

ბალნეოლოგიურ კურორტ „ასპინძის" საკურორტო სეზონი მაისიდან ნოემბრამდეა. სააბაზანო კი მთელი წლის განმავლობაში ფუნქციონირებს. აქ ხალხმრავლობა განსაკუთრებით ზაფხულის შუა პერიოდში შეინიშნება.

როგორც ითქვა, კურორტ „ასპინძაში" მკურნალობენ და ისვენებენ როგორც საქართველოს რეგიონებიდან ჩამოსული დამსვენებლები, ასევე საქართველოს საზღვრებს გარედანაც, კერძოდ – სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან, რუსეთიდან და თურქეთიდანაც.

წლევანდელი საკურორტო სეზონის სამზადისისათვის ათასობით ლარის ხარჯი გავწიეთ, პირველ რიგში მოწესრიგდა მისი ინფრასასტრუქტურა, – კაპიტალურად შეკეთდა სააბაზანოები, საცხოვრებელი ბინები, ბაზალტის ქვის ფილებით მოეწყო შიდა გზები, შეძენილი იქნა მაცივრები და სხვადასხვა დასახელების ინვენტარ-მოწყობილობები, კეთილმოვაწყეთ კურორტის შემოგარენიც, უფრო მეტიც, მის შემოგარენში დავრგეთ და გავახარეთ ფიჭვის 200-ზე მეტი ნერგი, მომავლისათვის კი ტყეპარკის გაშენებასაც ვითვალისწინებთ.

მიუხედავად იმისა, რომ მიმდინარე

სეზონზე კურორტმა 300-ზე მეტი დამსვენებელი გაატარა რეგისტრაციაში და მათი უმეტესობა გამოჯანმრთელდა, ან დიდი შეღავათი მიიღო, ჩვენთვის კვლავ მტკივნეულ საკითხად რჩება ის, რომ არ გაგვაჩნია ფიზიოთერაპიის და მასაჟის კაბინტები, რომლის მოწყობასაც მომავალი სეზონისთვის ვაპირებთ.

ალბათ, მკითხველი დამეთანხმება, რომ „ასპინძის" ბალნეოლოგიური კურორტი უნიკალურია მთელ საქართველოში, თუმცა მის პოპულარიზაციას, ჩვენდა სამწუხაროდ, მაინც ვერ ვეწევით. ცხადია, ბევრსაც სურს ისარგებლოს მისი სიკეთეებით, მაგრამ მწირი ოჯახური ბიუჯეტი ამის საშუალებას არ იძლევა. მათ მინდა მივმართო, რომ მომსახურების დონით ჩვენ, სხვებისგანაც განსხვავებით, გამოვირჩევით და, შესაბამისად, გადასახადიც შედარებით დაბალი გვაქვს და განკურნების მეტი შანსებიც. ამას გამოჯანმრთელებული ადამიანების სიმრავლეც ცხადყოფს და მადლიერებით გამოხატული არაერთი ჩანაწერი ჩვენს შთაბეჭდილებათა წიგნში.

თამაზ ჩიგოგიძე,
ბალნეოლოგიურ კურორტ „ასპინძის" დირექტორი

თამარ ჯვარიძე 102 წლისაა

იყო დრო, როდესაც ასპინძაში არაერთი ხანდაზმული ადამიანი ცხოვრობდა. სიცოცხლის ხანგრძლივობით განსაკუთრებით ძველ-ჭობარეთის მოსახლეობა გამოირჩეოდა და ეს გასაკვირი არც იყო, რადგან გარემო პირობები, ჰაერი, წყალი, ხანგრძლივი სიცოცხლის გარანტიას იძლეოდა, მაგრამ ეკოლოგიური პრობლემების გამო არა მარტო რეგიონში, საქართველოში, მსოფლიო პრობლემა გახდა ჯანმრთელობის დაცვა, თუმცა, ღმერთის წყალობით, კიდევ არიან ისეთი ადამიანები, რომლებმაც 100 წელს გადააბიჯეს და წარსული დროის ცოცხალი მემატიანეები გახდნენ. ერთ-ერთი იმათაგანია სოფელ ჭობარეთში მცხოვრები თამარ ჯვარიძე, რომელიც ამჟამად 102 წლისაა და მხნეობითაც გამოირჩევა.

ამ დღეებში, ხანდაზმულთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ასპინძის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ ლევან ბერიძემ, ადმინისტრაციული სამსახურის უფროსმა სლავა სუარიძემ, სოფელ ჭობარეთში მცხოვრები უხუცესი ქალბატონი მოინახულეს, თამარ ჯვარიძეს ხანდაზმულობის საერთაშორისო დღე მიულოცეს და საჩუქრად ასპინძის მუნიციპალიტეტის მიერ 2018 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის მიზნობრივი ,,მოქალაქეთა სოციალური და ჯანდაცვის პროგრამით'' გათვალისწინებული 500 ლარიანი ვაუჩერი გადასცეს.

ჯანმრთელობა, ტანმრთელობა და კიდევ დიდხანს სიცოცხლე გვისურვებია მუნიციპალიტეტის უხუცესი ადამიანისათვის – ქალბატონ თამარ ჯვარიძისათვის!

წერილი მეოთხე

„მე ვარ ქართველი, მაშასადამე ვარ ევროპელი“?!

გაურკვეველი მიზეზების გამო, გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე, საქართველოს მთავრობის მეთაურმა, ცხონებულმა ზურაბ ჟვანიამ, სიამაყით განაცხადა ევროპის მაღალი ტრიბუნიდან: „მე ვარ ქართველი, მაშასადამე ვარ ევროპელი“! მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, ბევრმა წყალმა ჩაიარა, ევროპული ოჯახისკენ მიმავალ გზაზე ბევრი საყურადღებო მოვლენებიც მოხდა და, ალბათ, კიდევ ბევრ სიახლეებს უნდა ველოდოთ, რადგან მსოფლიოში ისეთი არასტაბილური ვითარებაა, არავინ იცის, ხვალინდელი დღე რას მოგვიტანს.

ჟვანიას თანაგუნდელი მიხეილ სააკაშვილი საკუთარ სამშობლოში, სისხლის სამართლის დანაშაულებების გამო, გაასამართლეს და მსჯავრდებული პრეზიდენტყოფილი ამჟამად უპასპორტოდ(!) ევროპის სხვადასხვა ქვეყანას აფარებს თავს; მეორე თანაგუნდელი ნინო ბურჯანაძე, კარგა ხანია ოპოზიციაშია და ღიად აკრიტიკებს როგორც დღევანდელ ხელისუფლებას, ასევე ყოფილ თანაგუნდელებს, რომელთა ხელისუფლებაში ყოფნის დროს ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარე გახლდათ. ამასობაში ქვეყანამ ევროპაში ვიზალიბერალიზაციას მიაღწია. საქართველოს მოქალაქეებს საშუალება მიეცათ ევროკავშირის ნებისმიერ ქვეყანაში თავისუფლად გადაადგილებისა გარკვეული დროით და მკაცრი პირობებით. ზოგს უვიზო მიმოსვლამ სიკეთე მოუტანა, ბევრს – არაფერი. ქვეყანამ კი ევროპის მხრიდან დიდი მფარველობა, ქვეყნის უკეთესად მოწყობასა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღიარებაში მტკიცე გარანტიები. მაგრამ საყურადღებო მაინც ის არის, რომ ჩვენი ხვალინდელი დღე ახალგაზრდობა გახლავთ, რომლებსაც დღე და ღამ გული ევროპისკენ მიუწევთ და საკუთარი ქვეყანა და მისი ავ-კარგი ნაკლებად აინტერესებთ.

მიგრანტთა დიდი ნაკადი, მათ შორის ქართველებიც, ძირითადად ევროპის ერთ-ერთ წამყვან, კლასიკურ დონეზე განვითარებულ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ეძებს თავშესაფარს. მე ყოფილ საბჭოთა კავშირში შემავალ თითქმის ყველა რესპუბლიკაში ვყოფილვარ, დასავლეთში კი, არასოდეს და, როგორც წინა წერილებში ვწერდი, შვილების წყალობით, როგორც იქნა, ბავარიის დედაქალაქი მიუნხენი დავათვალიერე და ჩემი შთაბეჭდილებები გაზეთ „ასპინძის სიახლენის“ მკითხველებს გავუზიარე. იქ ყოფნისას შვილიშვილმა შემომთავაზა – მოდი, მდინარე ვეზერის სანაპიროზეც გავისეირნოთო, რომელიც მაღალმთიან ალპებიდან იღებს სათავეს. გამიკვირდა, ნუთუ მიუნხენში აღარაფერი დაგვრჩა სანახავი და საქართველოს დედამდინარე მტკვრის პირზე გაზრდილ კაცს ამ მდინარის ნახვა განა გამოაცებდა? მაგრამ, რას იზამ, სტუმრად ვიყავი და სხვა გზა არ მქონდა და შვილიშვილის სურვილს დავყევი. უამრავი საინტერესო რამ მინახავს, მაგრამ რაც ამ მდინარის სანაპიროებზე ვნახე, გავოცდი – იმდენი იხვი, ბატი, გედი იყო მოფენილი, უშველებელი ფერმის ეზო გეგონებოდათ. ფრინველები იმგვარად იყვნენ ადამიანებთან, განსაკუთრებით ბავშვებთან, ადაპტირებულნი, რომ პატარებს წყლის სანაპიროზე გამოსულ ფრინველებთან მიახლოება, ხელის გადასმაც კი შეეძლოთ. ჩემთვის და, ალბათ, სხვებისთვისაც, ვინც პირველად იხილა ეს ზღაპრული სანახაობა, გასაკვირი მაინც ის იყო, როგორ ახერხებენ ბავარიის მიწაზე ფლორისა და ფაუნის დაცვის სამსახურები, ჩვეულებრივი მდინარის სანაპიროზე, ამ ფრინველების მოვლა-პატრონობას, განსაკუთრებით ზამთრის პერიოდში, გაზაფხულზე, წვიმიან ამინდებში, მდინარის ადიდების დროს, ან სად ბუდობენ, სად იჩეკებიან? ქალაქის ღირსშესანიშნავ ადგილებთან ერთად, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ამ ეგზოტიკური მდინარის სანაპიროსაც ყოველდღიურად უამ-

რავი მნახველი ჰყავს და, ალბათ, ეს მხოლოდ ტურისტების, სტუმრების სიამოვნების მიზნით არ კეთდება. თავისთავად, ეს ყველაფერი გერმანელი ერის კულტურაზე, ბუნების უდიდეს სიყვარულზე და მომავალი თაობის აღზრდა-ჩამოყალიბებაზეც ნათლად მიანიშნებს. მდინარის სანაპიროზე ქართული საუბარიც შემომესმა, უნებლიედ, მათკენ გავიხედე და ერთი ახალგაზრდა ღიმილით ეუბნება მეორეს: – ეხ, ჩემო ნიკა, ეტყობა ბავარიელებს გემო არ აქვთ, თორემ ამდენ ბატს აქ ვინ გააჩერებდაო?

მათ ნათქვამზე მე და ჩემ შვილიშვილსაც გაგვეღიმა. მიხვდნენ, რომ ჩვენც ქართველები ვიყავით, მაგრამ ისე დავშორდით ერთმანეთს, არც კი გამოვლაპარაკებივართ.

მდინარეების, ხელოვნურად მოწყობილი ტბების სანაპიროებზე მნახველთა ყურადღებას იქცევს არა მარტო ბატების, იხვების, გედების სიმრავლე, არამედ მდინარეებში მომრავლებული სხვადასხვა ჯიშის, ზომის, ფერის თევზებიც. რაოდენ დაუჯერებელიც არ უნდა იყოს, ხელის გულზე პურის ნამცეცები რომ დაიყარო და მდინარის ნაპირზე ჩაყო ხელი, შენთან სიახლოვეს აუცილებლად მოცურდებიან თევზები და ამ ღამაზ, განუმეორებელ სანახაობას საკუთარი თვალით იხილავ და უნებლიედ იტყვი: – ნეტავ როდესმე ჩვენთანაც იქნება კი ასე?!

არანაკლებ მდინარეები, ტბები და ტყეები გვაქვს ჩვენც, აქაც მრავლობს იხვი და ბატი, გედიც, მაგრამ ისე უმონყალოდ ვანადგურებთ, რომ ქვეყანა რომ მოიარო, მდინარეების, ტბების სანაპიროებზე, ვერსად წააწყდებით გარეულ ბატს თუ იხვს და შემთხვევით მაინც თუ მოკარით თვალი, ისიც ბრაკონიერებისაგან თავდაღწეული, შეშინებული და დამფრთხალი იქნება. არის კიდევ ერთი – მადლობა ღმერთს, რომ დღეს საქართველოში უამრავ ხელოვნურ თევზსაშენს შეხვდებით, სამომხმარებლო ბაზრის დახლებზე მრავალი ჯიშის თევზი იყიდება, მაგრამ უკანონო, ქიმიური და ელექტრო საშუალებების გამოყენებით თევზის ჭერის გამო მდინარეებში, ტბებში, გადაშენების პირასაა მისული, ამას ემატება მდინარეების დაბინძურებაც.

ევროპიდან ხშირად, ჩვენი მენტალიტეტისათვის მიუღებელი მრავალი წესის დამკვიდრებას რომ ვცდილობთ, რაც დღეს თავად ევროპელებისთვისაც მიუღებელია, რატომ არ გვინდა იმ ევროპული ღირებულებების ქართულ ყოფაში დამკვიდრება, რაც ევროპის წინსვლასა და შემდგომ განვითარებას ემსახურება?

კიდევ არის ერთი, რაც ხშირად საგანგაშო შემთხვევებით მთავრდება. ესაა მაწანწალა ძაღლების თემა. ევროპაშიც, ალბათ, ჩვენზე მეტ ოჯახს ჰყავს სხვადასხვა ჯიშის, ფერისა და ზომის ეგზოტიკური ძაღლები, რომლებიც დარაჯობენ მსხვილფეხა რქოსან და წვრილფეხა საქონელს, ობიექტებს, საცხოვრებელ სახლებს, მაგრამ აშვებულს, ქუჩაში გამოსულს, ვერსად წაწყდებით, ისინი, როგორც ოჯახის წევრები, ისე არიან აღრიცხულები, მათი გაყიდვის, გასხვისების, სიკვდილის შემთხვევაში, მეპატრონის განცხადებით, აღრიცხვიდან იხსნებიან. ჩვენ კი, რა გამოგვივიდა – ავდექით და ცხოველთა დაცვის კანონები ისე შემოვიტანეთ ჩვენს ყოფაცხოვრებაში, თითქოს ტრადიციულად ცხოველების მიმართ ჩვენთან ყველაფერი მოწესრიგებული გვქონდა და ცხოველთა დაცვის კანონიღა გვალკდა, შედეგიც შესაბამისი მივიღეთ: – ლამის მთელი საქართველო მაწანწალა ძაღლების ნაკრძალად გადავაქციეთ და რამდენიმე რაიონში ძაღლების საჩვენებელი თავშესაფრის აშენებით დავკმაყოფილდით...

ამ პატარა წერილის დასასრულს ისევ ცხონებული ზურაბ ჟვანიას გამონათქვამს ჩემებური პერიფრაზით დავამთავრებ: – „მე ვარ ქართველი, მაშასადამე მე ვარ ევროპელი“?!

გიორგი ბერიძე

მან ახალგაზრდა კაცის სიცოცხლე გადაარჩინა

არიან ადამიანები, რომლებიც ცხოვრებაში არაერთ დიდ საქვეყნო საქმეს აკეთებენ და თითოეული ჩვენთაგანისათვის საამაყონი ხდებიან, მაგრამ ისეთი უჩინარი ადამიანებიც არსებობენ, რომლებიც თავიანთი თავგანწირულობითა და უდიდესი ადამიანური საქციელით, მოყვასის სიმპათიასა და სიყვარულს იმსახურებენ. ჩვენ ამ პატარა საგაზეთო წერილით არ გვინდა მკითხველის ყურადღება გადავღალოთ, თუმცა უთქმელობაც არ შეიძლება, რამეთუ, იშვიათად, მაგრამ მაინც, ადამიანთა გარკვეული კატეგორია კეთილ საქმეს არა იმისთვის ჩადის, რომ ვიღაცამ დაინახოს, თავი მოაჩვენოს, საზოგადოების თვალში საკუთარი მე წარმოაჩინოს, არამედ იმისათვის, რომ მოყვასი გაჭირვებისგან იხსნას, უანგაროდ მიეშველოს, როგორც შეეძლება, გვერდზე დაუდგეს. ადამიანის სიცოცხლე ხომ უპირველესია ქვეყნიერებაზე, მისი დაცვა კი თითოეული ჩვენთაგანის უპირველესი საზრუნავია.

ხშირად ასეც ხდება – შეიძლება ადამიანმა მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება ისე გაატაროს, ყველასათვის შეუმჩნეველი დარჩეს, მაგრამ იქაც არის მომენტი, როცა ერთ წამში შეიძლება ისეთი რამ ჩაიდინოს, – ყველასათვის მისაბაძი გახდეს და, რა თქმა უნდა, პირველ რიგში, საფიცარ ხატად გადაიქცეს ადამიანთა იმ გარკვეული ჯგუფისათვის, ვისთვისაც ყველაზე უძვირფასესია ამა თუ იმ ადამიანის სიცოცხლე.

ზურაბ ცინაძეს ყველა ასპინძელი იცნობს. იგი დიდი ხანია რაც უკეთილშობილეს საქმეს ემსახურება – სამცხე-ჯავახეთის საგანგებო სიტუაციების მართვის მთავარი სამმართველოს ასპინძის სახანძრო-სამაშველო განყოფილების უფროსის თანამდებობაზე მოღვაწეობს. მან დიდი ხანია დაიმსახურა პატივისცემა და მხარდაჭერა თავისი ზემდგომი ინსტანციებიდან, რადგან, ხანგრძლივი დროის განმავლობაში, ამ სისტემაში მუშობის შედეგად, არაერთი თავგანწირული ნაბიჯი გადადგა ადამიანთა დასახმარებლად ხანძრისა თუ სტიქიური უბედურების შემთხვევების დროს, თუმცა ამჯერად ამ მიმართებით მის ღვაწლსა თუ შემართებაზე არ გვექნება საუბარი, მაგრამ ერთს მაინც ვიტყვით – ასპინძის სახანძრო სამსახურში დასაქმებული კადრები რეგიონში, თავიანთი პროფესიონალიზით, ერთ-ერთი გამორჩეულია, რის შესახებაც ჩვენი გაზეთი გასულ

წლებშიც იუწყებოდა, ეს კი ზურაბის პროფესიული და ორგანიზატორული ნიჭის შედეგია.

ამჯერად ერთ ფაქტზე მინდა შევაჩერო ჩვენი ერთგული მკითხველის ყურადღება, რაც არა თუ ჩვეულებრივი მოვლენა, არამედ ყველასათვის მისაბაძი მაგალითია, რამაც აალაპარაკა დაბის მოსახლეობა და არ ვიქნებით მართლები თუ იგი ფართო საზოგადოებასაც არ ვაუწყეთ.

როგორც ცნობილია, ძალზე გახშირდა მთელ საქართველოში და, მათ შორის, ჩვენს მუნიციპალიტეტშიც ავტოსაგზაო შემთხვევები, რომელთა უმრავლესობის წილი ახალგაზრდობაზე მოდის. ამ ცოტა ხნის წინ კიდევ ერთი ავტოსაგზაო შემთხვევის მოწმენი გავხდით, რომელიც არა თუ ჩვეულებრივ საავტომობილო გზაზე, არამედ დაბის ერთ უმნიშვნელო ადგილზე – გურამიშვილის ქუჩის პატარა ჩიხში მოხდა, როდესაც გადაჭარბებული სიჩქარით მიმავალი ავტომანქანა პირდაპირ მდინარე ოთის წყლის ხევში გადავარდა და რომ არა ზურაბ ცინაძის მართლაც გონიერი ქმედება, გამჭრიახობა და, უპირველესად, დიდი პროფესიონალიზმი, შესაძლოა, დღეს კიდევ ერთი ახალგაზრდა გამოკლებოდა ასპინძას. დიახ, რომ არა ზურაბ ცინაძის ქმედება, ფატალური შედეგი სახეზე იყო. მდინარეში უგონოდ მყოფი, კომაში ჩავარდნილი ახალგაზრდა კაცის სიცოცხლის გადასარჩენად მან ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ სასწრაფო-სამედიცინო დახმარების მოსვლამდე, წამებში ეხსნა ახალგაზრდა კაცის – გაგა ბერიძის სიცოცხლე.

ყოჩაღ, ზურაბ! შენ იმჟამად კიდევ ერთხელ გამოავლინე ღრმა პროფესიული ცოდნა და სხვა რომ არაფერი, მარტო ამით ხარ არა მარტო დასაფასებელი, არამედ მისაბაძი კაციც! ღმერთი ყველაფერს ხედავს და გვჯერა, ყოველთვის საიმედო კაცის სახელი დაგრჩება მარადჟამს.

სამწუხაროდ, პირველადი დახმარების სწავლებას დღეს აღარც სკოლებში ექცევა ყურადღება და აღარც საზოგადოებაშია ინტერესი, არადა, მისი ცოდნა აუცილებელია. არავინ არ იცის, ვის რა მოელის, მაგრამ ამ მიმართებით ელემენტარული ცოდნა მაინც გვჭირდება დაზარალებულისათვის პირველადი დახმარების გაწევის მიზნით.

ავთანდილ მესხი

ინფორმაციები მოგვაწოდა ასპინძის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საორგანიზაციო განყოფილების უფროსმა ეკა კალაიჯიშვილმა

რედკოლეგია